



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 14
02/06/2021

14-06-4-202106021525



„ცაგერის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 ნოემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1.

„ცაგერის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 ნოემბრის №35 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/11/2017წ. სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.116.016354) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 2. საგანმანათლებლო პროცესის წარმმართველ პერსონალს - აღმზრდელს:

ა) აქვს აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული განათლება ადრეული და სკოლამდელი განათლების მიმართულებით; ან აკადემიური უმაღლესი განათლება ნებისმიერი მიმართულებით და ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება;

ბ) გავლილი აქვს გადამზადება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ - პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ- მოდულის მიხედვით.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი გუგავა

გ. შუაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო